კონკურსის მეშვეობით შპს "საქაერონავიგაციის" კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე ავტომეურნეობის შენობაზე მიშენების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის თაობაზე საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

თბილისი

16/06/2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ლევან გეგეშიძე;

საკონკურსო კომისიის წევრი – გოჩა ნადირაძე;

საკონკურსო კომისიის წევრი – ზვიად აბესაძე;

საკონკურსო კომისიის წევრი – თეიმურაზ ფირცხალავა;

საკონკურსო კომისიის წევრი – გელა კულუმბეგაშვილი;

საკონკურსო კომისიის წევრი – ოლეგ გოგნაძე.

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები: კ. ანდრიაძე, ზ. დავითულიანი, გ. ობოლაშვილი, ქ. მეხუზლა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ქ. თბილისში შპს "საქაერონავიგაციის" კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე ავტომეურნეობის შენობაზე მიშენების საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისთვის გამოცხადებულ №1235 კონკურსში კონკუსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და დაადგინა:

1. გაუქმდეს საკონკურსო კომისიის მიერ 2014 წლის 11 ივნისს მიღებული სხდომის ოქმი №2 (თანმდევი დოკუმენტაციით: შეფასების ცხრილები, წერილები, ინტერესთა კონფლიქტი), რომლითაც საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულად გამოავლინა შპს "GAS GROUP". ვინაიდან, აღნიშნული ოქმით გამარჯვებულად გამოვლენილია შპს "GAS GROUP" ნაცვლად შპს "CAS GROUP"-სა.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა №1235 კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებებზე:

1. №1235 კონკურსში საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში კონკურსანტებმა წარმოადგინეს საკონკურსო წინადადებები. კონკურსში მონაწილეობდა 3 (სამი) კონკურსანტი:
   - შპს "აგენორი" (საკონკურსო წინადადების ფასი 30 000 ლარი);
   - შპს "CAS GROUP" (საკონკურსო წინადადების ფასი 40 000 ლარი);
   - შპს "new arch studio" (საკონკურსო წინადადების ფასი 38 500 ლარი).
2. შპს "აგენორის" საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას შემდეგი საფუძვლებით:
   - შპს "აგენორის" მიერ წარმოდგენილ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი).
   - შპს "აგენორის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ცალკეული დანართები (რეკვიზიტები და განმარტებითი ბარათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით) არ არის ხელმოწერილი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ (საკონკურსო განცხადების მე-9 პუნქტი).
3. შპს "CAS GROUP"-სა და შპს "new arch studio"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შესაბამისობაზე შემსყიდველის ორგანიზაციის საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან.
4. კონკურსანტების საკონკურსო წინადადებების შეფასებას და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას საფუძვლად დაედო შემდეგი კრიტერიუმები: 1) ექსტერიერის დიზაინის არსებულ გარემოსთან თავსებადობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა; 2) შიდა გეგმარება და ავეჯის განლაგება; 3) საკონკურსო წინადადების ფასი (შეფასების ცხრილები თან ერთვის წინამდებარე ოქმს).

5. საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

   - გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს "CAS GROUP", რომლის საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება შპს "საქაერონავიგაციის" საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს.

- დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს აცნობოს გამარჯვებულ კონკურსანტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.
- დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს აცნობოს შპს "new arch studio"-სა და შპს "აგენორს" კონკურსანტების შეფასების შედეგების თაობაზე.
- დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადება.
- დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის, ინტერესთა კონფლიქტის, წერილების, შეფასების ცხრილებისა და კონკურსანტების საკონკურსო წინადადებების სსიპ "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში" დასკანერებული სახით გადაგზავნა.

დამსწრე კომისიის წევრები:

1. ლევან გეგეშიძე
2. გოჩა ნადირაძე
3. ზვიად აბესაძე
4. თეიმურაზ ფირცხალავა
5. გელა კულუმბეგაშვილი
6. ოლეგ გოგნაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

16/06/2014

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, ქვემოთ ჩამოთვლილი პირები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ N1235 კონკურსში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის (აპარატის)

თავმჯდომარე ლ. გეგეშიძე

საკონკურსო კომისიის

წევრი გ. ნადირაძე

საკონკურსო კომისიის

წევრი თ. ფირცხალავა

საკონკურსო კომისიის

წევრი ზ. აბესაძე

საკონკურსო კომისიის

წევრი გ. კულუმბეგაშვილი

საკონკურსო კომისიის

წევრი ო. გოგნაძე

საკონკურსო კომისიის
აპარატის წევრი — გ. ობოლაშვილი

საკონკურსო კომისიის
აპარატის წევრი — კ. ანდრიაძე

საკონკურსო კომისიის
აპარატის წევრი — ზ. დავითულიანი

საკონკურსო კომისიის
აპარატის წევრი — ქ. მეხუზლა